საქმიანობის რესურსების კვლევა შიზოფრენიით დაავადებულ ადამიანებში, როგორც სოზიალიზაციის და ჩართულობის პირობა

რუსუდან აბულაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა - კლინიკური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: სრული პროფესორი ქეთევან მაყაშვილი

ილიას სახელმწფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

აბსტრაქტი

მნიშვნელოვანია, რომ შიზოფრენიით დაავადებული ადამიანების სოციალიზაცია და გარემოში ადაპტაცია, შესაბამისად მათი ფსიქოლოგიური კეთილდღეობა თანამედროვე სამყაროში ძალიან აქტუალური საკითხია. დასაქმება კი ამ პირობების შესრულების ერთ–ერთ მნიშვნელოვან კრიტერიუმად მოიაზრება.

ნაშრომში განხილულია შიზოფრენიით დაავადებული ადმიანების დასაქმების ხელშემწყობი კრიტერიუმები; სოციალური უნარ–ჩვევები, როგორც სოციალიზაციისა და გარემოში ადაპტაციის პირობა; გამოკვლეულია თუ რამდენად განსაზღვრავს დასაქმება ინდივიდის ფსიქოლოგიურ კეთილდღეობას; როგორია ამ ადამიანების სოციალური ფუნქციონირება და რამდენად არის თანხვედრაში მათი შესრულების და კმაყოფილების მაჩვენებლები.

კვლევაში მონაწილეობას იღებდა 20 შიზოფრენიის დიაგნოზის მქონე ადამიანი, მინიმუმ ერთი ჰოსპიტალიზაციის გმოცდილებით. მათგან 10 იყო დასაქმებული, 10 კი დაუსაქმებელი. კვლევაში მონაწილე პირთა ასაკი იყო 30–იდან 45 წლამდე შუალედში. კვლევაში გამოვლინდა რამდენიმე ძირითადი შედეგი: შიზოფრენიით დაავადებული ადამიანების დასაქმება ქართულ რეალობაში არ ხდება მაღალი სამუშაო და სოციალური უნარების მიხედვით; დასაქმებული შიზოფრენით დაავადებული ადამიანების ფსიქოლოგიური კეთილდღეობა გაცილებით მაღალია დაუსაქმებლების ფსიქოლოგიურ კეთილდღეობაზე და ასევე დასაქმება არის პრედიქტორი მაღალი სოციალური უნარ-ჩვევების; შიზოფრენიით დაავადებული ადამიანების მიერ ფსიქოლოგიური კეთილდღეობის გაანალიზება არ ხდება ინდივიდუალურ დონეზე - არ არის კორელაცია ოკუფაციური შესრულების გაზომვასა და ფსიქოლოგიურ კეთილდღეობას შორის.